საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

დადგენილება №3

2015 წლის 2 ნოემბერი

ქ. თბილისი

1995 წელს მიმოქცევაში გაშვებული 50 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევის ვადის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და 37-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1

ეროვნული ბანკის მიერ 1995 წელს მიმოქცევაში გაშვებული 50 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევის ვადა განისაზღვროს 2017 წლის ბოლომდე, შემდგომში მათი გამოცვლა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „1995 წელს მიმოქცევაში გაშვებული 50 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევის ვადის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2013 წლის 15 მაისის №2 დადგენილება.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 3 ნოემბრიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტი **გიორგი ქადაგიძე**